ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის” დამატება
№9, 2 ოქტომბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ეროვი ლექსი

სიმარტოვე

ქაშუეთის წინ ლოთმა სანდრუამ
არაყის ფული მთელ დღეს აგროვა,
მერე დაუსხეს დიდ ჭიქაში და...
ადამიანი მაინც მარტოა!
მიდგა კუთხეში სიტყვის უთქმელად
და სავსე ჭიქას ცოტა აროვა,
მერე გადაკრა სულმოუთქმელად...
ადამიანი მაინც მარტოა!
ნუ მეკითხები ასე რატოა:
ვინ – ვინ ჩაწიხლა,ვინ – ვინ დატოვა,
როგორც კი ცოტას წაიფორხილებს, –
ადამიანი,უკვე მარტოა!
არ უნდა ამას დიდი მიტინგი,
ჭკუათმყოფელმა,ვინც კი სანდოა,
იცის,ყალბია ბევრის ტიკტიკი,
ადამიანი მაინც მარტოა!
მავანი ისევ ფეხს აბაკუნებს,
მავანი ისევ მხოლოდ ღადოა,
დრო მაინც ყველას კუთვნილს არგუნებს,
ადამიანი მაინც მარტოა!
ზოგს ნინო უყვარს,ზოგს ქეთევანი,
ზოგისთვის გონჯიც ბრიჯიტ ბარდოა,
ვის დაფნა ერგო,ვის სატევარი,
ადამიანი მაინც მარტოა!
ზოგს აიაზმა ასვეს,აპკურეს,
ზოგს დავიწყების თოვლმა ათოვა,
სიბერე კარს რომ მოაკაკუნებს,–
ადამიანი უკვე მარტოა!
ქვეყნად რამდენმა ხატა,აშენა,
სიტყვა და ფერი მოაჯადოვა,
ისევ ოცნების გადასარჩენად...
ადამიანი მაინც მარტოა!
თუ ვინმე დიდი კაცი გამოჩნდა,
თუ ვინმე ერის სადიადოა,
– გახსოვთ,პოეტი როგორ გადმოხტა?
– ადამიანი მაინც მარტოა!
წუთისოფელი თავის გზით მიდის,
თვალსაწიერიც უფრო ფართოა,
ყველამ ჩახედოს საკუთარ სინდისს,
ადამიანი მაინც მარტოა!

ჭიქა-ღვინოზე თავის შექცევით,
ფიქრებს, რომლებიც სახიფათოა,
ვაი,რომ მაინც ვერ გაექცევი,
ადამიანი მაინც მარტოა!
მე ჩემის თავის არც რა დარდი მაქვს,
მაგრამ არ ახსოვს მრავალ დარდიმანდს,
დრო იყო, ძმა-ძმას საფლავს უთხრიდა,
დრო იყო, კლიტე ეპყრა შადიმანს!
ვის რაში უნდა ჩემი ტრაბახი
ან აყვირებით,ან გაყუჩებით?!
„დარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები!”
განწმინდეს, ნათლეს, რა არ იღონეს,
ეშმაკმა მაინც არ მიატოვა,
ვწერ უკვე ბევრჯერ
ნათქვამ სტრიქონებს –
ადამიანი მაინც მარტოა!
რაც უნდა აშრო ბედის ხორბალი,
ბოლო არჩივი მაინც ქატოა,
ფიცარი ფუყე და გამომპალი...
ადამიანი მაინც მარტოა!
მე ჩემსას ვიტყვი, გინდა მომკალი,
სამყარო – აი,რაც უზადოა!
ცაზე ოცნებით ვარსკვლავთ მომკელი –
ადამიანი მაინც მარტოა!
... ქაშუეთის წინ ლოთმა სანდრუამ
არაყის ფული დიდხანს აგროვა,
მერე,რა მერე? „მერეს” ლოდინში...
ადამიანი მაინც მარტოა!
ცა მოქუფრული და საავდროა,
დგას მობუზული მთვრალი სანდრუა,
და ეკითხება გამვლელ-გამომვლელს:
– ახლა რა დროა?! ახლა რა დროა?!
არც მიფიქრია თქმა რამე ახლის,
მე რა თავს ვახლი,ასე რატოა?
მიდის ქუჩაში კაცი და ძაღლი...
ადამიანი მაინც მარტოა!

რევაზ ამაშუკელი

იუბილარი

... სადაუნობას მიითხოვდა ერთი...
ჯერ საქართველოს მზეს დაეფიცებ,
მახსოვს, მესხეთში ლილილოს ეკრეფდი,
მერე ქიაშხეთში გამოვილიეე...

ალია ელიაშვილი - 60

მამულო ჩემო...

რა დრო გასულა!..

თვალი მოვიფშვნიტე და ცას ავხედე, – ფერი არ ედო! მერე მიწას დააკვდა ჩემი გაოცებული თვალი და... სადღა იყო ზურმუხტი!

შიშველი იყო მიწა, სულ მთლად შიშველი!.. მის მოღეღილ მკერდს ჩემი უძლური თითები ცახცახით დავაფარე და მწარედ ავქვითინდი:

– ვინ, ვინ დამღუპა, ვინ მოგხადა თავზე ლეჩაქი?! ვინ დაეუფლა შენს ლამაზ სხეულს?! ვინ შეურაცხყო ჩემი ქვეყნის, ერის ღირსება?!

მე დაგღუპე! ვერ დაგიცავი! ვერ გაგიფრთხილდი! ეს მე გაქციე მეძავად და შენს შიშველ სხეულს მინდა, ფრთები რომ მივახატო, ისევ ჩემდა დასაფარავად...

არ ვიცი, ვინ ვარ! არ ვიცი, ახლა ჩემს ძარღვებში რა სითხე დადის!..

ვუყურებ, როგორ მიბილწავენ დედის სარეცელს! პატივაყრილი სატრფო შველას მთხოვს და მე კი ქოხში გამოვკეტე ორივე, რადგან მავანთა სახეს მოვარიდო ჩემი სირცხვილი!

იქვე, ცივ ქვაზე გადავშალე გულგრილი სუფრა და წინაპართა სადღეგრძელო დავლიე რიხით!

საოცარია... თამადობდა სუფრას დემონი!..

მერე ცბიერმა სადღეგრძელო შესვა ისეთი, ველარ გავუძელ მე, ბედშავმა, დამცინავ ღიმილს, სინდისის პროტესტს, (სულს რომ ერტყა უმძიმეს ჯაჭვად) ქოხის ღრიჭოდან გამოვარდნილ დაუცველ ქვითინს, ქვესკნელის პირას გასწორებულ ღირსების კვნესას! ჩემი კაცობის სამარემდე თრევით დაღლილ დროს შევუცვალე მისამართი და მისმა გეზმა მაჩვენა სახე უჩინოსი, დღემდე ფარულის...

უკვე გავიგე, ვინ მოსტაცა ფერი ცას, მიწას... ვინ წამიბილწა სარეცელი დათა, დედათა!.. ვინ დამიკარგა საკუთარი თავის შეცნობის და ღირსებათა დაცვის უნარი!!!

ხელი ავუკარ, გავაძევე ჩემი სუფრიდან და ცხელი შუბლი გავიგრილე ცივი თითებით...

ფუნჯი მჭირდება, მივახატო ამ ცას ფირუზი...

მიწას ზურმუხტის დავაფარო დიდი საბანი!

მუხლმოდრეკილმა დავუამო სატრფოს წყლულები...

და თუ ოდესმე ის სიბრმავე მე მეპატია, მძიმე ჯაჭვი როგორ გამიძლებს?! დაიჭირვებ და, მყისვე ცხელი მკერდით დაგიცავ!..

გთხოვ, მაპატიე ეს ყრუ ძილი, ჩემო მამულო!..

მხოლოდ ქართულად

გადამითარგმნეთ, ცხელი გული გადამითარგმნეთ,
ატატებული გრძნობა თარგმნოთ, იქნებ, ჩინურად,
გადამითარგმნეთ უნაზესი სულის სიმძაფრე
ან ქართული ცის ცისარტყელა თარგმნეთ ფინურად!
გადამითარგმნეთ, გთხოვთ, მთაწმინდა გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ ბერმუხა და ცეცხლის ღადარი,
გადამითარგმნეთ უფლისციხე, შემდეგ ვარძია,
უცხო პალიტრით მომიხატეთ ფრესკა თამარის.
გადამითარგმნეთ დიდოსტატის დიდი მარჯვენა,
სვეტიცხოველში ცხელი გულის თარგმნეთ საფლავი,
გადამითარგმნეთ, როგორ იცავს მიწას მადლიანს,
გალაკტიონის იისფერი თოვლის საბანი...
გადამითარგმნეთ ,,კაკალ გულში“, გადამითარგმნეთ,
გადამითარგმნეთ ,,გენაცვალე“, თუნდაც, ,,გეთაყვა“,
დედაენაში აკინძული ჩვენი ფოლკლორი,
მითებითა და ლეგენდებით სავსე ქვეყანა.
გადამითარგმნეთ, ქარაფები გადამითარგმნეთ,
მერე მათთვისაც გამოძებნოთ ახსნა, ეგების, –
თუ რად წამოსცდა მოყმის დედას სიტყვა სამძიმრად,
დაე, იცოდნენ, სისხლით სისხლს რომ არ მიეგების!..
გადამითარგმნეთ, უფლის მადლი გადამითარგმნეთ,
ტატოს მერანი შეხე, როგორ მიჰქრის ზღაპრულად,
გადამითარგმნეთ, საქართველო გადამითარგმნეთ,
ვით ათრთოლდები, თუ არ ითქვა იგი ქართულად!..
გადამითარგმნეთ, მწუხრის ჟამი გადამითარგმნეთ,
გადათარგმნილი ჩემი გრძნობა როგორ გაკადროთ?!
რა ვქნა, მიყვარხართ თუკი მხოლოდ, მხოლოდ ქართულად...
ამ ცისქვეშეთში ჩემი ზეცა რომ არ დავკარგო!..

გზა სტუდენტობიდან დოქტორობამდე

ჩვენ ერთმანეთი ოცდაათიოდე წლის წინ გავიცანით. ის გახლდათ სტუდენტი, მე კი მხვდა ბედნიერება მისი ლექტორი ვყოფილიყავი. გაცნობისთანავე მიიპყრო ყურადღება თავთუხისფერთმიანმა სწავლამოწყურებულმა ახალგაზრდამ. მისი თვალებიდან გამოკრთოდა ცოდნისადმი მიდრეკილება და სიყვარული, რაც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

სტუდენტობაში გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, პოეტური განწყობით და მეცნიერული განსჯით. მე გახლდით მისი სადიპლომო ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც დიმიტრი ყიფიანს შეეხებოდა. გამოცდის დროს, მისი საუბრით აღფრთოვანებული, წამოდგა პროფესორი შოთა ქურდაძე და გულში ჩაიკრა კლარა ამ სიტყვებით: ,,ჩვენ ყოველთვის ვიამაყებთ, რომ შენ ჩვენი კურსდამთავრებული გერქმევა!"

მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო კლარა გელაშვილის მუშაობა ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში. მოვისმინე მისი ლექცია და მივხვდი, როგორ დებდა გულსა და სულს საქმეში. თითოეული ექსპონატი თუ კონკრეტული ისტორია მისთვის შესწავლილ, მაგრამ მაინც რაღაც საიდუმლოებებით მოცულ საგანს ან მოვლენას წარმოადგენდა. იგი ჯერ მეცნიერ-მუშაკი, შემდეგ კი ფონდების მცველი იყო ამ მუზეუმში. ვგრძნობდი, ნებისმიერ საქმიანობაში შეიძლებოდა მასზე დაყრდნობა.

კლარა გელაშვილს არ აკმაყოფილებდა მიღწეული და გადაწყვიტა, პარალელურად მეცნიერული საქმიანობა გაეგრძელებინა და, ჰოი, საოცრებავ! – ჩემი ყოფილი სტუდენტი, პროფესორი ნინო მინდიაშვილი გახდა მისი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი!

ჩემი ორი უსაყვარლესი სტუდენტის გზა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაიკვეთა. დისერტაციის თემაც ხელმძღვანელმა შეურჩია: „ომის პარადიგმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში". კვლევის პროცესში კლარას არ გამორჩენია არცერთი დეტალი; ლიტერატურის გაანალიზების შემდეგ ავტორებსაც უკავშირდებოდა და ასე, მტკივნეული პროცესების ფონზე დაიბადა მისი სადისერტაციო ნაშრომი, რომლის დაცვაც, პანდემიის გამო, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმიდან, წმინდანის შეწევნით, ე. წ. ,,ონლაინ" რეჟიმში მოხდა.

და, აი, პოეტი კლარა გელაშვილი, შვილებითა და შვილიშვილებით დახუნძლული, ისევ ჩვიდმეტი წლის გოგონასავით მგრძნობიარეა. მისი ლექსები მთელ სამყაროს სწვდება ადამიანური განცდებით. უპირველესი კი მაინც სამშობლოა, – მისი ტკივილი, მისი სიხარული.

თანამდებობა შეიცვალა კლარამ, მაგრამ სადაც უნდა იყოს, ყველგან იგივე დარჩება, – პოეტური და, იმავდროულად, შინაგანად ძლიერი ქალბატონი.

რა უნდა ვუსურვო საიუბილეოდ მას, თუ არა ჯანმრთელობა და წარმატებები მეცნიერული და შრომითი საქმიანობის საპასუხისმგებლო გზაზე.

თამილა გოგალაძე
ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

კლარა გელაშვილი – 60

საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველი, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მკვლევარი და ფილოლოგიის დოქტორი კლარა გელაშვილი იუბილარია!

27 სექტემბერს მისი შემოქმედების გულშემატკივრებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა უმასპინძლა. კოლეგებმა და ხელოვნების წარმომადგენლებმა ისაუბრეს კლარას შემოქმედებისა და საზოგადო საქმიანობის შესახებ. ბავშვთა და მოზარდთა თეატრალურმა დასმა ,,აკვარიუმი" წარმოადგინა მის პროზასა და ლექსებზე აგებული ლიტერატურული კომპოზიცია.

კლარა გელაშვილი მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედია! მისი პოეზია ქალის თვალით დანახული სამყაროს ანარეკლია – იმედებითა და ტრაგიზმით სავსე. ლექსებსა თუ მოთხრობებში მისი სულის მოძრაობის ყოველი ნიუანსი ჩანს, რომელთა მოხელთება არც ისე ადვილია...

ძნელია სიხარულის ლექსში მომწყვდევა, არც წუხილია ადვილი ასაკინძი, მაგრამ მას ეს შეუძლია, რადგან ზემგრძნობიარეა, როგორც ჭეშმარიტი პოეტი. კლარას პოეზიას საქართველოსა და ქართული სიტყვისადმი განსაკუთრებული სიყვარული გამოარჩევს. ლექსი „გადამითარგმნეთ" ამ მხრივ მისი სავიზიტო ბარათია.

საინტერესო და მრავლისმეტყველია კლარა გელაშვილის პროზაც. ამის დასტურია თუნდაც, ავტორის წინასიტყვაობა წიგნში „მანდილი ქარში":

„გრძნობათა ნაკადი ვერ დაიტია ლექსის კალაპოტმა, აზვირთებულმა ტალღამ ჯერ დაბზარა და მერე ნაწილ-ნაწილ დაშალა ქვიტკირის ჯებირი, გაიშალა და ამოისუნთქა...

ახალი გზა, ახალი დაფა, ახალი ტილო და, მეც თავისუფლად დავაწე ტირიფის ტოტით შეკრული ფუნჯი ჩემი სულის ცინცხალ პალიტრას".

მწერლის მტკიცე ხასიათი და მამულისადმი გულწრფელი თანალმობა იგრძნობა კლარას პატრიოტული შინაარსის ამონარიდებიდან:

„...პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი კაცისთვის მეტისმეტად რთული გადასატანი აღმოჩნდა წლები, რომელმაც თავდაყირა დააყენა მისი რწმენაც და ცნობიერებაც. 1989 წლის აპრილში ერთმუშტად შეკრული საქართველო მის თვალწინ ჯერ ორად, შემდეგ კი ვინ იცის, რამდენ ნაწილად გაიხლიჩა! პატიოსანი კაცისთვის რწმენის შერყევა სიკვდილის ტოლფასი აღმოჩნდა. ხმა ამოიღო, დაუპირისპირდა და... სულში ჩააფურთხეს! დამოუკიდებლობის მძიმე საფეხურებს განუკითხაობა ლაღად აუყვა და ქართული სულის ზეობის ნაცვლად კორუფცია და ეკონომიკური კრიზისი გაბატონდა! უპატრონო და დაუცველ ტაძარს დაპატრონებულმა ეშმაკებმა ჩალის ფასად შეიძინეს ძვირად ღირებული ფასეულობანი: სინდის-ნამუსი, კაცობა, სამართალი... რკინის მოთმინებამაც ვერ უშველა და ფიალაც აივსო..."

სადაც უნდა იყოს, ფიქრით მესხეთს – თავისი ადგილის დედას დასტრიალებს კლარა გელაშვილი, სადაც ცა უფრო მაღალია, მზე უფრო მცხუნვარე და თითქოს უფრო მეტ სითბოდ გადმოღვრილი. ქვიშხეთი კი მისი მუზების საუფლო და ფიქრების ნავთსაყუდელია.

ვულოცავ კლარას საიუბილეო თარიღს და ვლოცავ ქრისტესმიერი სიყვარულით. ღვთისმშობელი იყოს მისი მფარველი!

მაყვალა ხაჩიძე – ჟურნალისტი, მწერალი

შემოდგომის შეგონება

კლარა გელაშვილს

ცის მცხუნვარე ლილიფარამ –
მზემ ღრუბელი მიიფარა
შენი მშვენი შემოდგომის ზღურბლზე,
უფლის ლოცვა არ გაკმარა,
ანგელოზმა შეგიყვარა
და სამყაროს ბავშვის თვალით უმზერ...
ამინდი რომ აირია,
გულის კარი დაგრჩა ღია,
არ წამოგცდა სიტყვა დანანებით...
შენი სამი არილია,
სულს რომ გითბობს, აპრილიანს,
მზით სავსეა შენი დარანები.
არ გხიბლავდა საკარცხული,
ჩავლილია ჩაფარცხული,
ხსოვნის ტბაში ჩაძირული წლები,
გოლგოთიდან, ვით ჯვარცმული,
მწირის ფლასში გადაცმული,
სინანულის სარეცელზე წვები...
მზე – დაღლილი ლილიფარა
შემოდგომამ შეიფარა,
ღრუბელივით დარდი გაიპარა...
შემოდგომის შეგონება
ისეთია, გეგონება,
გაზაფხული კვლავ დაბრუნდა, კლარა!

ეკატერინე ბაქრაძე

ნუცა...

ადრიანი შემოდგომის თბილი წვიმა აიაზმასავით დაეპკურა უმანკო სხეულს...

ზეციურმა ანგელოზებმა ჰაეროვანი ფრთების ტახტრევანით მიჰგვარეს უფალს დედამიწაზე ოცი წლით მოვლენილი ანგელოზი, რომელმაც ,,შეზღუდული შესაძლებლობების" ბორკილი დაამსხვრია და ბევრ ჩვენგანზე უკეთ შეძლო ზე-შესაძლებლობის – თავისუფლების სიტყვასა და ფერში გაცხადება...

,,თუ მოხვალ, გამიცნობ, ნარჩევი რტოებით,
იცანი ცოტათი შეშლილი პოეტი..."

ოცი გაზაფხული, ზაფხული, ოცი შემოდგომა და ზამთარი ზიდა შეუპოვარმა სულმა ჩაგრული სხეული...

,,აწმყოს აივნიდან ძველ დროს გადავყურებ და ასე მგონია,
ცხოვრებას წარსული, ვითარცა ზღაპარი, გამოუგონია..."

ნუცა ჩიტაძემ საკუთარი ზღაპარი გამოიგონა და მისი კეთილხმოვანება და ფერადოვნება ლექსებსა და ნახატებში დაგვიტოვა. თვითონ კი ,,სამყაროს მარადიულ პატარძლად" იქცა.

,,გაზაფხულს წააგავს პატარა ქალბატონი –
მჩქეფარე ჩანჩქერი, მგოსანი მინაბული..."

თავის პატარა ქალბატონს ემშვიდობება ხაშურ-ქალაქი!..

„ხაშურის მოამბისა" და
„ლიტერატურული ხაშურის"
რედაქცია.

„ნუ დაივიწყებ ცას ..."

ნ. ჩიტაძე

ხაშურში პატარა გოგონა ცხოვრობდა,
ცხოვრობდა ჩუმად... თან – ფიქრების ხმაურით,
რა ვუყოთ, მიწას თუ ტერფი ვერ შეახო,
ზეციდან უმზერდა სამყაროს სხვა ურვით...
წავიდა... მის თვალთა სიღრმეებს ვერ ჩავწვდი,
განცდანი სულისა გადმოგვცა ლექსებად...
უფალო, შენი არს!.. უფალო, შენი არს
სანთელი, რომელიც ალს ეალერსება...
აქ, ჩვენთან, პატარა გოგონა ცხოვრობდა,
ერთფერი აისით... აპრილის ჩრდილებქვეშ...
უფალო, შენი არს... ნუგეში მიეცი,
ამოიბილიკოს შენამდე, ინებე...

კლარა გელაშვილი

პასუხი

თუ მორწმუნე ვარ,
რატომ არ მჯერა სასწაულების!
ან თუ ვირწმუნე,
რად მგონია, ახლოს ვერ მივალ?
ბევრჯერ ვამსხვრიე
კერპები ირგვლივ, ფერწასულები,
ზოგჯერ ვერ მივხვდი,
სულიწმინდა სად მომევლინა...
დავეძებ სიტყვებს
შეწყვეტილი ლოცვების წიგნში,
ცისკრისას ისევ
თეთრი მტრედები იტრაპეზებენ,
ჩემი მუჭიდან აკენკილი აღსარებებით
და ფრთაგაშლილნი, ალბათ მერე
აისს უმზერენ...
შეცბუნებული და მომლოდინე –
რისი? კითხვები იბადებიან...
და თუ ვიქნები პასუხის ღირსი –
ეს იმედებიც არ მოკვდებიან...

ნუცა ჩიტაძე

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე